დევიდ ლინჩი საქართველოს დღეს პირადი თვითმფრინავით ეწვევა

12:25, 18.11.2017

მსოფლიო კინოს ლეგენდა დევიდ ლინჩი საქართველოს დღეს ეწვევა. ამერიკელი რეჟისორი, სცენარისტი, მუსიკოსი და პროდიუსერი თბილისში 20:00 საათზე პირადი თვითმფრინავით ჩამოფრინდება.

ვიზიტი დაკავშირებულია დევიდ ლინჩის ფონდის კავკასიის განყოფილების საქმიანობასთან, რომელიც 2017 წლის 25 ივლისს თბილისში ჩამოყალიბდა და საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს აერთიანებს.

ვიზიტის დროს გაიმართება პრესკონფერენციები, შეხვედრები, საჯარო ლექცია ტრანსცედენტული მედიტაციისა და საზოგადოებისთვის მისი სოციალური როლის შესახებ.

დევიდ ლინჩის პირველი ვიზიტი საქართველოში დატვირთულია, პროგრამის ყოველი საათი ზუსტად არის გაწერილი.

დაგეგმილია ლეგენდარული რეჟისორის საკულტო ფილმის „მალჰოლანდ დრაივის“ ჩვენება და მაყურებელთან შეხვედრაც.

დევიდ ლინჩის ფონდი ამერიკის შეერთებულ შტატებში 2005 წელს დაარსდა. ფონდი, მსოფლიოს მასშტაბით, 600 000-ზე მეტ ბავშვსა თუ მოზარდს დაეხმარა ტრანსცედენტული მედიტაციის მეშვეობით სტრესის დაძლევაში.

ფონდის პოსტტრავმული სტრესის მქონე ვეტერანებს, მათ ოჯახებს, ძალადობის მსხვერპლ ქალებსა და ბავშვებს ეხმარება.

დევიდ ლინჩის ფონდი – კავკასიის მთავარი მიზანია, დაეხმაროს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მაცხოვრებლებს გათავისუფლდნენ სტრესისგან.

ავტორი: თათია ბუხრაშვილი

DAVID LYNCH IS VISITING GEORGIA TODAY WITH HIS PRIVATE JET

The world cinema legend David Lynch will visit Georgia today. The American film director, scriptwriter, musician and producer will arrive in Tbilisi with his private jet at 20:00.

His visit is related to David Lynch Foundation activities in Caucasus office, which was founded in Tbilisi on the 25th of July, 2017 and unites Georgia, Azerbaijan and Armenia.

There will be held press-conferences, meetings, public lecture on Transcendental Meditation and its role for the society during the visit.

David Lynch's first visit in Georgia is quite busy, each hour of the program is scheduled. The screening of legendary film director's cult film "Mulholland Drive" and a meeting with the public will also be held.

David Lynch Foundation was established in USA in 2005. The Foundation helped more than 600 000 children and adolescents in the whole world to overcome stress with Transcendental Meditation.

The Foundation supports veterans, their families, women and children who were victims of violence with posttraumatic stress disorder.

The main reason of David Lynch Foundation Caucasus is to help the population of Georgia, Azerbaijan and Armenia to get rid of stress.